საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-480

ქ. თბილისი

12/06/2020

ქ. თბილისში, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) პროექტზე სკოპინგის დასკვნა №51 (09.06.2020);
2. შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №51 (09.06.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის “ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი